საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 1/1604-14
„26." 11 2008

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო
მდივნის სამსახური

მიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასასრულებლად გიგზავნით საქართველოს მთავრობასა და ირლანდიის მთავრობას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების" ქართული და ინგლისურენოვანი ორიგინალის ასლებს შესაბამისი უწყებების დასკვნებითურთ.

ამასთან გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული შეთანხმების საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი.

დანართი: ფურცელი.

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შო ჩიტაძის I. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678 www. mfa.gov.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 591/14
„17" 09 2007

დასკვნა

„საქართველოს მთავრობასა და ირლანდიის მთავრობას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების" პროექტზე

სამინისტრომ განიხილა „საქართველოს მთავრობასა და ირლანდიის მთავრობას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების" პროექტი და მის მიმართ შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წარმოდგენილი შეთანხმების დადება.

მერაბ ანთაძე
მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678
www. mfa.gov.ge

საქართველოს ეკონომიკური
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMIC
DEVELOPMENT OF GEORGIA

"29" 08 2007 წ. № 17/2448/3-4

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენს მიერ გამოგზავნილი 2007 წლის 17 ივლისის №2/11776-14 წერილით წარმოდგენილი "საქართველოს მთავრობასა და ირლანდიის მთავრობას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების" პროექტი და გაცნობებთ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გაგვაჩნია.

მინისტრის მოადგილე

თამარ კოვზირიძე

№16646/2-6
30 08 7

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. № 12
12, G. Chanturia Str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (995 32) 93 33 61, 98 43 11
Fax: 92 19 29, 93 28 61, 92 01 08

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო
შემოსავლების სამსახური

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA
REVENUE SERVICE

№ 16-02-07/20134

„20" 11 2007 წ.

22.11.07

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შემოსავლების სამსახურმა განიხილა თქვენი 2007 წლის 8 ნოემბრის №07-04/13383 წერილით წარმოდგენილი "საქართველოს მთავრობასა და ირლანდიის მთავრობას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" მხარეების მიერ პარაფირებული საერთაშორისო ხელშეკრულების 27-ე მუხლის (ძალაში შესვლა) ირლანდიის მხარის მიერ შემოთავაზებული ტექსტი, რომლის მიხედვითაც შეთანხმება გადასახადების მიმართ ეფექტური იქნება მისი ძალაში შესვლის წლის პირველი იანვრიდან ან მის შემდეგ.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ირლანდიის მხარის მიერ შემოთავაზებული ფორმულირების მიღების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულება გაერცელდება შეთანხმების ძალაში შესვლისათვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების თარიღის წინა პერიოდზე, შესაბამისად ირლანდიის რეზიდენტების მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლების საქართველოში გადახდის წყაროსთან დაკავებულ და გადახდილ გადასახადებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ძალაში შესული საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე შესაბამის არარეზიდენტებს უფლება ექნებათ მოითხოვონ კანონმდებლობით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების წინა პერიოდში საქართველოში გადახდის წყაროსთან დაკავებული და გადახდილი გადასახადების დაბრუნება, რაც საგადასახადო მიზნებისათვის არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. აქვე აღვნიშნავთ, რომ "საქართველოს საერთაშორისო

5030
21.11.07

C:\MAK\2007\CR\IN\finansTe saministro 2488-15.11.07.doc

ქ. თბილისი, 0105, ვ. გორგასლის ქ. № 16, ტელ.: (995 32) 43 81 15; ტელ./ფაქსი: (995 32) 43 81 99
Tbilisi, 0105, 16, Gorgasali str., Tel.: (995 32) 43 81 15 Tel./Fax: (995 32) 43 81 99

ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსათვის ძალაში შედის ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის შესრულების შემდეგ.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ საქართველოს მიერ დღემდე რატიფიცირებული არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულება არ ითვალისწინებს წინა პერიოდით ძალაში შესვლას.

სამსახურის უფროსის
მოადგილე

კობა აბულაძე

C:\MARI\2007\CR\JI\finansTa saministro 2468-15.II.07.doc

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-04/4286 „07" 05 2008

იქვენს №

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ ვაშაკიძეს

ბატონო ნიკოლოზ,

წარმოგიდგენთ "საქართველოს მთავრობასა და ირლანდიის მთავრობას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმების პროექტის ირლანდიის მხარესთან შეთანხმებულ ტექსტს ინგლისურ და ქართულ ენებზე, შეთანხმების პროექტის თაობაზე უწყებების მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს, შენიშვნების განხილვის შედეგების ცხრილს (შეთანხმების ფურცელს) და განმარტებით ბარათს.

გთხოვთ, მოამზადოთ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი "საქართველოს მთავრობასა და ირლანდის მთავრობას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმების ხელმოწერის შესახებ და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი საქართველოს ფინანსთა მინისტრ ნიკა გილაურისათვის შეთანხმებაზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

დანართი: 49 გვერდი

პატივისცემით,

კახა ბაინდურაშვილი
მინისტრის პირველი მოადგილე

1149

ქ. თბილისი 0114, ჯ. გორგასლის ქ. № 16, ტელ.: 446412, ფაქსი: 457442, ელ-ფოსტა: www.mof.ge
16 Georgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 446412; Fax: 457442, E-mail: www.mof.ge